სარეკომენდაციო მითითება მმართველობის ანგარიშგებაზე აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დასკვნის ფორმასთან მიმართებაში

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. კანონის მიხედვით, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს მოსაზრებას: ***(A)*** მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის და კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში მოცემული კორპორაციული მართვის ანგარიშგების შემადგენელი ნაწილების მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა; და ***(B)*** იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვდენილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს. ასევე, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ამოწმებს, ***(C)*** ასახულია თუ არა ანგარიშგებაში კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“–„ვ“ ქვეპუნქტებში მოცემული კორპორაციული მართვის ანგარიშგებისა და კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტში მოცემული არაფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილები.

იმ შემთხვევაში, თუ მმართველობის ანგარიშგებისა და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღები ერთმანეთს ემთხვევა, ამ ანგარიშგებებზე აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გამოთქმული მოსაზრებები უნდა აისახოს ერთ აუდიტორულ დასკვნაში. ამ შემთხვევაში, მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობის შესახებ მოსაზრება/დასკვნა ***(B)*** აისახება აუდიტორული დასკვნის შემდეგ ნაწილში - „**სხვა ინფორმაცია**“, ასს-720-ის მიხედვით (საილუსტრაციოდ იხილეთ ასს 720-ის შესაბამისი დანართები); ხოლო მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე **(A)**, ასევე ინფორმაცია მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილების წარმოდგენის შესახებ **(C)** აისახება ასს-700-ის მიხედვით აუდიტორული დასკვნის შემდეგ ნაწილში - „**დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**“ (A და C-სთვის საილუსტრაციო ნიმუშები იხილეთ ქვემოთ).

იმ შემთხვევაში, თუ მმართველობის ანგარიშგება ხელმოწერილია ფინანსური ანგარიშგებაზე აუდიტორული დასკვნის გაცემის შემდგომ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ორი მიდგომა:

ა) მმართველობის ანგარიშგებაზე აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მოსაზრება შეიძლება გამოითქვას ცალკე დოკუმენტში (წერილი აქციონერებს/პარტნიორებს). ამ შემთხვევაში, მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობისა და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ მოსაზრება და ინფორმაცია მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილების წარმოდგენის შესახებ უნდა იყოს იმავე შინაარსის, რაც იქნებოდა მოსაზრებების ერთ აუდიტორულ დასკვნაში წარმოდგენისას.

ბ) განახლდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორული დასკვნა, რომელშიც აისახება ზემოთ მითითებული მოსაზრებები.

A და C მოსაზრებების ფორმირების პროცესში რეკომენდირებულია აუდიტორმა შეაფასოს ასს 620 -ის შესაბამისი მოთხოვნების შესრულების აუცილებლობა.

დასკვნის შესაბამისი ნაწილის/წერილის საილუსტრაციო ნიმუშები:

1) არსებითი უზუსტობების არარსებობის შემთხვევაში:

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების [*რეკომენდირებულია ამ ნაწილების იდენტიფიცირება*] ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

2) არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში:

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების [*რეკომენდირებულია ამ ნაწილების იდენტიფიცირება*] ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

პირობითი მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე ვაცხადებთ, რომ “პირობითი მოსაზრების საფუძველში“ აღწერილი საკითხ(ებ)ის გავლენის გარდა, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

[*არსებითი უზუსტობ(ებ)ის არსი*]

3) არსებითი და ყოვლისმომცველი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში:

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების [*რეკომენდირებულია ამ ნაწილების იდენტიფიცირება*] ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

უარყოფითი მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე ვაცხადებთ, რომ “უარყოფითი მოსაზრების საფუძველში“ აღწერილი საკითხ(ებ)ის გავლენის გამო, მმართველობის ანგარიშგება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

[*არსებითი და ყოვლისმომცველი უზუსტობ(ებ)ის არსი*]

წინამდებარე დოკუმენტი არის სარეკომენდაციო ხასიათის და არ აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა. დოკუმენტსა და კანონმდებლობას შორის სხვაობის შემთხვევაში, გამოიყენება კანონმდებლობის ნორმები.